საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-10/78

ქ. ბათუმი 15 სექტემბერი, 2021 წ.

„ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 06 ნოემბრის N01-11/89 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2021 წლის 08 სექტემბრის MES 2 21 0000876661 და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსის კობა ჭანტურიას 2021 წლის 09 სექტემბრის MES 4 21 0000884727 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 06 ნოემბრის N01-11/89 ბრძანების №1 დანართში, კერძოდ, მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. წინამდებარე ინსტრუქცია ვრცელდება ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე:

ა) №1 კორპუსი - ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004);
ბ) №2 კორპუსი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.23.03.004);
გ) №3 კორპუსი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32-ში, მელიქიშვილის ქუჩის მხარეს მდებარე, ყოფილი ,,საერთო საცხოვრებელის'' შენობა (ს/კ 05.23.03.004);
დ) №4 კორპუსი - ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.24.05.084);
ე) №5 კორპუსი - ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა (ს/კ 05.30.26.027);
ვ) №6 კორპუსი - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა (ს/კ 05.25.12.020);
ზ) №7 კორპუსი - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში მდებარე, ბსუ-ს სტუდენტთა საცხოვრებლის შენობა (ს/კ 05.25.12.020);
თ) №8 კორპუსი - ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N 26-ში მდებარე, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული შენობა (ს/კ 20.42.11.522).

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**